საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ო ქ მ ი №21

ქ. საჩხერე **27 სექტემბერი 2017 წელი**

2017 წლის 27 სექტემბერს 10:00 საათზე საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში შედგა საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რეგისტრაცია გაიარა 22 - მა წევრმა.

არ ესწრებოდნენ: დარბაიძე გაგა, დემეტრაშვილი მარინე (შვებულება), ზაბახიძე ინგა, კუჭაშვილი მალხაზი, ნოზაძე ამირანი, სივსივაძე ამირანი,

მოწვეული პირებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე - ელგიზ ქიმაძე

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე - ოთარ ომიაძე

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ლევან ბიწაძე

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ,,საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის #20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლ. დეკანოიძე/

2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შ.პ.ს. ,,საჩხერის კეთილმოწყობი“–ს საწარმოს კაპიტალში შეტანის მიზნით საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ი. ტყემალაძე/

3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გაცემაზე საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ი. ტყემალაძე/

4. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გაცემაზე საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ი. ტყემალაძე/

5. ქალბატონ მარი ჯანაშიას საჩხერის საპატიო მოქალაქედ წარდგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ლ. ივანაშვილი/

6. ბატონ შოთა წვენიაშვილის საჩხერის საპატიო მოქალაქედ წარდგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ლ. ივანაშვილი/

7. ბატონ გივი ჩიღვინაძის საჩხერის საპატიო მოქალაქედ წარდგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ლ. ივანაშვილი/

8. საჩხერის მუნიციპალიტეტის კორბოულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ შომახეთში, შიუკეების უბნისთვის უჩა მაჭარაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: ლ.ივანაშვილი/

ლია დეკანოიძე-ჩემი წინადადებაა დღის წესრიგს დაემატოს მეცხრე საკითხი:

9. ,,საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ", საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის #19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოგახსენებთ, რომ დადგენილების პროექტში ცვლილება არ იწვევს პროფესიული საჯარო მოხელის არც კატეგორიის მომატებას და არც თანამდებობრივი სარგოს ცვლილებას, ხდება მხოლოდ თანამდებობის სახელის გადარქმევა კერძოდ, საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი–მდივან რეფერენტს დაერქმევა საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს-ვინ არის მომხრე დღის წესრიგი მიღებული იქნას ქალბატონ ლ. დეკანოიძის მიერ წარმოდგენილი დამატებითი საკითხის გათვალისწინებით?-მომხრეა ყველა

მოისმინეს:

1. ,,საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის #20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე-ლია დეკანოიძე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოგვმართა, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურსა და გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და ზედამხედველობის სამსახურში პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის უფრო მაღალი რანგის თანამდებობად გარდაქმნისა და თანამდებობის დასახელების შეცვლის შესახებ. სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი (თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს-ვინ არის მომხრე მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი?- მომხრეა ყველა.

გადაწყვიტეს:

მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შ.პ.ს. ,,საჩხერის კეთილმოწყობი"–ს საწარმოს კაპიტალში შეტანის მიზნით საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე-იუზა ტყემალაძე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი (თან ერთვის), სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 78585.08 ლარის ღირებულების მოძრავი ქონების (100 ერთეული (მეტალის, 1100 ლიტრიანი) ნაგვის ურნა (კონტეინერი)), შ.პ.ს. ,,საჩხერის კეთილმოწყობის" საწარმოს კაპიტალში შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს-ვინ არის მომხრე მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი?- მომხრეა ყველა.

გადაწყვიტეს:

მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გაცემაზე საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე-იუზა ტყემალაძე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო, განკარგულების პროექტი (თან ერთვის), მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების-სოფელ კორბოულში ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე 21.46კვ.მ. ფართი, ოთახი N1, ს/კ 35.12.52.066, სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს-ვინ არის მომხრე მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი?- მომხრეა ყველა.

გადაწყვიტეს:

მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

4. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გაცემაზე საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე-იუზა ტყემალაძე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი (თან ერთვის), მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N 35.01.44.054 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე 16.92 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, ა.(ა).ი.პ. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრირებულ კავშირი"-ზე, 2 წლის ვადით გაცემაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს-ვინ არის მომხრე მიღებული

იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი?- მომხრეა ყველა.

გადაწყვიტეს:

მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

5. ქალბატონ მარი ჯანაშიას საჩხერის საპატიო მოქალაქედ წარდგენის შესახებ.

მომხსენებელი: საკრებულოს ჰუმანიტარულ საკითხთა (განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა) კომისიის თავმჯდომარე-ლევან ივანაშვილი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო გამგებლის შუამდგომლობა, საქართველოს სახალხო არტისტის, ქალბატონ მარი ჯანაშიას საჩხერის საპატიო მოქალაქედ, კანდიდატურის განხილვის თაობაზე. აღნიშნა, რომ საკითხი განხილული და შეჯერებული იქნა კომისიის მიერ და წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულიად აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სხდომას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განკარგულების პროექტი (თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს-ვინ არის მომხრე მიღებული
იქნას განკარგულების პროექტი?- მომხრეა ყველა.

გადაწყვიტეს:

მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

6. ბატონ შოთა წვენიაშვილის საჩხერის საპატიო მოქალაქედ წარდგენის შესახებ.

მომხსენებელი: საკრებულოს ჰუმანიტარულ საკითხთა (განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა) კომისიის თავმჯდომარე-ლევან ივანაშვილი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო გამგებლის შუამდგომლობა, ისრაელის საზოგადო მოღვაწის, ღვაწლმოსილი პედაგოგის, ჩვენი ქალაქის მეგობრის ბატონ შოთა წვენიაშვილის საჩხერის საპატიო მოქალაქედ, კანდიდატურის განხილვის თაობაზე. აღნიშნა, რომ საკითხი განხილული და შეჯერებული იქნა კომისიის მიერ და წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულიად აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სხდომას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განკარგულების პროექტი (თან ერთვის).

აზრი გამოთქვა: მარინა კაციტაძე-აღნიშნა, რომ მივესალმები წარმოდგენილ საპატიო მოქალაქეთა კანდიდატურებს.

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ყველას კარგად გვახსოვს 2015 წლის 26 ოქტომბრის საკრებულოს სხდომაზე გატანილი იქნა ჭორვილაში დაბადებული და გაზრდილი მსოფლიოში აღიარებული ოპერის მომღერლის ნუგზარ (ვალერიანო) გამგებლის კანდიდატურის საჩხერის საპატიო მოქალაქედ წარდგენის შესახებ, რომელზედაც უარყოფითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ვიანაიდან მის მუსიკალურ კარიერას საჩხერის მუსიკალურ სკოლაში ჩაეყარა საფუძველი, გთხოვთ საჩხერის მუსიკალური სკოლის გახსნამდე განვიხილოთ ბატონ ნუგზარ (ვალერიანო) გამგებელის კანდიდატურა სჩხერის საპატიო მოქალაქედ წარდგენის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს-ვინ არის მომხრე მიღებული

იქნას განკარგულების პროექტი?- მომხრეა ყველა.

გადაწყვიტეს:

მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

7. ბატონ გივი ჩიღვინაძის საჩხერის საპატიო მოქალაქედ წარდგენის შესახებ.

მომხსენებელი: საკრებულოს ჰუმანიტარულ საკითხთა (განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა) კომისიის თავმჯდომარე-ლევან ივანაშვილი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო გამგებლის შუამდგომლობა, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ბატონ გივი ჩიღვინაძის საჩხერის საპატიო მოქალაქედ, კანდიდატურის განხილვის თაობაზე. აღნიშნა, რომ საკითხი განხილული და შეჯერებული იქნა კომისიის მიერ და წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულიად აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სხდომას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განკარგულების პროექტი (თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს-ვინ არის მომხრე მიღებული იქნას განკარგულების პროექტი?- მომხრეა ყველა.

გადაწყვიტეს:

მიღებული იქნას განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

8. საჩხერის მუნიციპალიტეტის კორბოულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ შომახეთში, შიუკეების უბნისთვის უჩა მაჭარაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: საკრებულოს ჰუმანიტარულ საკითხთა (განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა) კომისიის თავმჯდომარე-ლევან ივანაშვილი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ შემოსულია ინიციატივა (წერილის #3444/02-03-14/04-01 20.06.2017წ), რომელიც შეეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში გმირულად დაღუპული მებრძოლის უჩა მაჭარაშვილის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ შომახეთში, ე.წ ,,შიუკეების“ უბნისთვის, მისი სახელის მინიჭების საკითხს. საკითხი გავლილი და დამუშავებული იქნა კომისიის მიერ. სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია.

გაცნობებთ, რომ კანონმდებლობის შესაბამისად შესათანხმებლად განკარგულების პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია ეგზავნება, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას.

გადაწყვიტეს:

მომზადდეს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაგზავნილი იქნას გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიაში.

მოისმინეს:

9. საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის #19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე-ლია დეკანოიძე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნა ცვლილება, საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი–მდივან რეფერენტს გადაერქვა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში. სხდომას გააცნო დადგენილოების პროექტი (თან ერთვის),

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს-ვინ არის მომხრე მიღებული იქნას დადგენილების პროექტი?- მომხრეა ყველა.

გადაწყვიტეს:

მიღებული იქნას დადგენილების პროექტი.

შეკითხვები და შენიშვნები არ არის. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზი ნადირაძე**